საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 68

27/02/2017

„2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 ნოემბრის N277 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 77[1] მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 ნოემბრის N277 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანებით დამტკიცებული 234-ე-237-ე სტრიქონები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

234	სამეფო	უფილტრო სიგარეტი		ადგილობრივი	**1.20**
235	ქართული N1	უფილტრო სიგარეტი		ადგილობრივი	**1.00**
236	„სტალინი“ (წითელი)	უფილტრო სიგარეტი		ადგილობრივი	**1.20**
237	„სტალინი“ (ლურჯი)	უფილტრო სიგარეტი		ადგილობრივი	**1.00**

ბ) ბრძანებით დამტკიცებული 239-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

239	პირველი ინტერნაციონალ უფილტრო (ლურჯი)	უფილტრო სიგარეტი	PIRVELI INTERNATIONAL NON FILTER (blue)	ადგილობრივი	**1.30**

2. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული მხარის მიერ მისთვის ბრძანების ოფიციალურად გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7).

დიმიტრი ქუმსიშვილი

მინისტრი